გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ პეპუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა 24 აპრილს

გაზეთი „ივერია" პირველ მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 20 აპრილი

ინგლისის სვე-ბედის გამგეობას და ასე თუ ისე სვლასა ძველ დროთაგან საყევარში უდგას ორი დიდი, სხვა-და-სხვა მოძღვრების დასი. ერთს ვიგების დასს ეძახიან და მეორეს ტორიებისას. ეს სახელები დაერქვათ 1679 წ., როცა უშვილო მეფის კარლოს II-ისათვის მემკვიდრე უნდა ამოერჩიათ. მას დღეს აქეთია ინგლისის გამგეობა, გარედ თუ შიგნით, ხან ერთს დასს ჩაუვარდებოდა ხოლმე ხელში, ხან მეორეს იმისდა მიხედვით თუ,—რა დროს რომლის დასის მოძღვრება ჰპოულობდა ინგლისის ერში მომხრეობას. მოძღვრება ვიგებისა ის იყო თავდაპირველადვე, რომ დაძველებული კანონები, საფუძვლად-დადებულნი სახელმწიფოსათვის, შეცვლილ იქმნან დროთა და ჭკუა-გონების წარმატების მიხედვითა, ტორიები-კი გულ-მოდგინე მოსარჩლენი იყვნენ ძველის ინგლისის წეს-წყობილებისა.

როცა დრო მოითხოვდა ხოლმე რომელსამე ცვლილებას, მაშინ ინგლისის ერი თავის სვე-ბედს ჩააბარებდა ხოლმე ვიგებსა, და როცა ინგლისის ერი დაინახავდა, რომ ცვლილებანი ჯერ ხანად საკმაონი არიან და ახლად შემოღებულს წესს დრო უნდა ფესვის გადგმისა და დამკვიდრებისათვის, მაშინ გამგეობისათვის მოიწვევდა ხოლმე ტორიებსა. მთელი ისტორია საშინაო და საგარეო პოლიტიკისა ინგლისში ამ ორთა დასთა მოღვაწეობისაგან არის წარმომდგარი. ევროპიულის სიტყვით რომ მოვნათლოთ ეს დასები, ვიგები ლიბერალთა დასის კაცნი არიან და ტორიები—კონსერვატორთა დასისანი.

დროთა განმავლობაში უწინდელი სახელები—ვიგები და ტორიები—როგორღაც დავიწყებას მიეცნენ და თან-და-თან ამ დასთა აღსანიშნავად ევროპიულს სახელებს-და ჰხმარობენ. დღეს ხმარებაშია სახელ-საწოდებლად უფრო ლიბერალები და კონსერვატორები, ვიდრე ვიგები და ტორიები. გლადსტონის სახელოვან პროექტის შემდეგ ირლანდიის თვით-მართველობის შესახებ, ერთი დიდი ნაწილი მოსწყდა ლიბერალთა დასს, რომლის მოთავედ დარჩა გლადსტონი, და მიერივა კონსერვატორების დასსა, რომელსაც ჰწინამძღვრობს დღეს მარკიზი სალუსბერი. ამ გადამდგართ ლიბერალთა მაინც კიდევ შეირჩინეს დედა-აზრნი უწინდელის ლიბერალობისა ყოველგვარ საშინაო და საგარეო საქმეში და თავის ამხანაგებს გაეყარნენ მხოლოდ ირლანდიის გამო, რადგანაც სახელმწიფოს ერთობის დარღვევად მიიჩნიეს მინიჭება ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტისა, როგორც გლადსტონი და იმისი დასი ჰთხოულობს. რა თქმა უნდა, ამ გადამდგართა ლიბერალთა, რომელსაც წინ უძღვებიან გარტინგტონი და რადიკალი ჩამბერლენი, კონსერვატორთა დასში შეიტანეს ახალი სიო და შეარყიეს იმისი უწინდელნი დედა-აზრნი. ამ ახალმა სიომ და შერყევამ უკვე თავი იჩინა დღეს. დღევანდელი პროექტი კონსერვატორთა დასისა შესახებ ინგლისის თვით-მმართველობისა ისეთი ძირეული ცვლილებაა შინაურ პოლიტიკისა, რომ თვით გლადსტონელნი ლიბერალები გაკვირვებულნი არიან და სიხარულით ტაშს უკვრენ თავის მოპირისპირე კონსერვატორებს.

ამიტომაც ჩამბერლენსა და სხვათ იმის მგზავსთა საბუთი აქვთ სთქვან დღეს, რომ ინგლისში აღარ არის უწინდელი ვიგობა და ტორიობა. ამ სახელებმა და დასთა მნიშვნელობამ თავისი დრო-ჟამი მოიჭამა და დღეს ინგლისის ბედი ხელთ უპყრია ერთის მხრით ერთს ნაწილს ინგლისის ერისას, რომელსაც ჰსურს ცალკე პარლამენტი მიანიჭოს ირლანდიელებს და მეორეს მხრით მეორე ნაწილს, რომელსაც ეგ არა ჰსურს. ვინ გაიტანს თავისას ამ ორ ნაწილში—ამის პასუხის მთქმელი და გადამწყვეტელი თვით ინგლისის ერია, ხოლო კონსერვატორებს რომ ფეხთა ქვეშ მიწა გამოეცალათ, რომ მათთა უწინდელ დედა-აზრთა საფუძველი შეერყათ და ფერი და მიმართულება ეცვალათ—ეს ყოვლად შესანიშნავი ამბავია. რომ კონსერვატორთა დასმა, თუ სრულად არა, ბევრში მაინც, დაივიწყა თავისი ძველნი ანდერძნი, ბევრი დასთმო თავის ძველ დედა-აზრთაგან და ბევრში დაჰყვა ლიბერალთა დედა-აზრთა,—ამისი დიდი და უტყუარი საბუთი ინგლისის თვით-მმართველობის პროექტია, რომელიც სალუსბერიმ—ამ კონსერვატორთა მეთაურმა—შეიტანა ამ ბოლოს დროს პარლამენტში და რომელმაც მეორეჯერ წაკითხვის დროს გამოიწვია ერთიანი ტაში და სიხარული მოწინააღმდეგებისა.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნი ფორკატი ნაალდგომევს ბანკის თეატრში წარმოადგენინებს რუსულად ფეერიას—«მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ 80 დღის განმავლობაში». ამ წარმოდგენისათვის თეატრში დიდი მუშაობა და მზადებაა. რათა რაც შეიძლება მეტს ხალხს მისცეს საშუალება წარმოდგენაზე დასწრებისა, ფორკატის ლიბრეტო ამ ფეერიისა ქართულადაც გადაუთარგმნინებია და აბეჭდინებს.

*** გუშინ, 20-ს აპრილს, რუსეთიდგან ფოსტა არ მოსულა, რადგანაც კავკავის გზა გაფუჭებულა კობსა და გუდაურს შუა. გზათა გამგეობა იუწყება, რომ 20-ს აპრილსავე, შუადღისათვის, მისვლა-მოსვლა ისევ გაიმართებაო.

*** სურამიდგან ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს: ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ საზაფხულო სტუმრების საყურადღებოდ და სურამელების დასამშვიდებლად. გაზეთებში სწერდნენ, ვითომ სურამში სახადი გაჩნდაო და ვითომ ხორაგეულობა გაძვირდაო; ხალხი ბევრი მოდის საზაფხულო სახლების დასაქირავებლად, მაგრამ საშინელის სიძვირის გამო ვერა ჰქირაობენ და აქედგან მიდიან ბორჯომსა და აბასთუმანშიო. ამ ორმა ამბავმა სურამის საზაფხულო სახლების მეპატრონენი ძალიან აალელვა და გააჯავრა. სახლში შებძანდებით ვისთანმე თუ მაღაზიაში, განუწყვეტლივ ამასა კითხულობენ: ვის უცნობებია ასეთი ტყუილი ამბები გაზეთებისათვის. საკუთრად ჩემთვის ეს ძალიან სამწუხაროა, რადგანაც ამ ამბების დამწერად სურამელები მე მსახვენ. სხვათა შორის ამიტომაც მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, რომ ჭეშმარიტება აღვადგინო. სურამში წელს არავითარი გადამდები ავადმყოფობა არა ყოფილა, შემდეგში-კი ღმერთმა დაგვიფაროს... მართალია, ორს ოჯახში იყო რაღაც ავადმყოფობა, მაგრამ ის ორი ოჯახი დღეს კარგად არის და ამის შემდეგ ავად აღარავინ გამხდარა. იმ მკურნალმა, რომელმაც ამ ოჯახების ავადმყოფები მოარჩინა, დამარწმუნა, რომ ამათი სნეულება გადამდები არ იყო და გაზეთები ტყუილად შეცდომაში შეუყვანია ვიღაც მოამბესაო. ხორაგეულობასაც არაფერი ფასი არ მოჰმატებია, ყოველიფერი ისე ისყიდება და ფასობს, როგორც შარშან ზაფხულში. საზაფხულო სახლების საქირავებლადაც ჯერ არავინ მოსულა. სახლები ბევრია და იაფადაც აქირავებენ, ასე რომ სამი-ოთხი ოთახი სამზარეულოთი და ავეჯით რვა-ათ თუმნად იშოვება.

*** იქიდამვე: მთელს სურამის მხარეში საკმაოდ კარგი ჯეჯილებია.

## ფელეტონი

### გაზაფხული

მიწა მაირთო მწვანითა,
გაღმა აჭრელდა ქედები;
სხვა-რიგს ფერს იდებს ცა-მყარი,
ჩამოდგა წვიმის სვეტები.
გათბი, გულ-ცივო ქვეყანავ,
მზის პირს მიუპყარ გვერდები;
მიწის დუშმანო ყინვაო,
არც ახლა აისვეტები!?
სიმღერავ, ველად გამოდი,
გულში ნუ დაიკეტები!
წეროთაც გადაიარეს,
მერცხალიც მოფრენილაო;
ოფოფა სავარცხლიანი
იმათ მოუძღვა წინაო.
ამოჩენილან ყვავილნი,
წითელ-ყვითელან ქალანი,
უხდებათ დაკუპრულებსა
მანდილ-გრეხილნი, კაბანი.
ია ბექურში გვიცინის,
შუშუნა წვიმით ნაბანი.
არაგვმა ლახტი აიღო
ამირანისა, რა ხანი;
მიღეწ-მოღეწა კლდეები,
მტკვარს გაადინა ჯახანი.
კართანას *) ფარი წაართვა,
ყინვას მოჰგლიჯა ჩაჩქანი;
დევები გაფთხნენ, გაიქცნენ,
გადმოუყარეს აბჯარი;
მოქიშპე არ გაუშვია,
რო არ დაეცეს ხანჯარი.
მუხრანის ველზე მიცურავს
თავ-აღებული განჯარი.
დამთვრალა, სტიალეა,
მთას თოვლი დაუღვევია;
ორწყალში ჩამოსწევია,
თათრის ჯარ დაუღვევია.
ბასრის გორდაის ცემითა
კლდეები გაუღვევია;
მთით ბარად ჩამოვარდნილა,
გზა მტკვრისკე გაუკვლევია.
თავის ბუნების ყმა რო ხარ,
არაგვო, იდღეგრძელია!
შენის ვეფხურის ტევებით
გულს წყლული გამიმთელია.
გულით ხომ გხედავ, თუ თვალით,
ვაყო, ვერ დაგინახეო:
განაცვლე, მთანი და კლდენი
შავნებით შამინახეო!

ვაჟა-ფშაველა

*) ადგილია.

## ნაამბობი

ბრეტონელ გლეხის დედაკაცისა
(ფრანგულიდამ)
თხზ. პარია კორიგანისა

### პინოდას ბიძაშვილი

ჩემი დედობილი პინოდა ის ღვთის ადამიანია, ბატონო კორიგან, რომელმაც არხში მიპოვა, ის მდიდარი პინოდა, რომელმაც არ შეიზიზღა ჩემი ძონძები და ჭუჭყიანი ტანსაცმელი, ამიყვანა შვილობილად და გამზარდა. იმის საფლავზე მშვენიერი თეთრი ვარდებია ამოსული. მე თვითონ ვახარე ის ვარდები და სწორედ იმდენს კოკორს გამოიტანს ხოლმე, რამდენიც დღეა წელიწადში. ის იყო ჩემი ნამდვილი დედა, ჩემი მშობელი. ისე ვუყვარდი, რომ თავის საკუთარს შვილს პიეროს გამოსწირავდა ხოლმე ძუძუს და მე მთარჯავდა, როცა კბილები ამომდიოდა. პინოდა ის წმინდა დედაკაცია, რომელსაც დღესაცა ვლოცავ და ყოველთვის იმის სახელს ვიგონებ, როცა-კი გულს სევდა შემომაწვება ხოლმე. პინოდას ერთი ბიძა ჰყვანდა და მეტად კარგი რამაციყო ცხონებული. ყველგან ყოფილიყო სალაშქროდ: იქაც, სადაც მუდამ ცხელა, და იქაც, სადაც გამუდმებული სიცივეა, სარაცინების ქვეყანაშიაცა და რუსებისაშიაც.

მეტ-სახელად ბუზღუნასაც ეძახდნენ, ზებერ ჯარის-კაცსაც და კაპიტანსაცა. არას დროს არ გაიცინებდა, მხიარულება გულისა იმპერატორთან ერთად დაემარხნა სადღაც შორეულს კუნძულზედ.

თუმცა ასეთი იყო, მაგრამ მაინც შეუყვარდა ერთს ყმაწვილსა და გასათხოვარს ქალსა. ამ ტრედივით წმინდამა და მორჩილმა ადამიანმა აჩუქა კაპიტანს თავისი სული და გული, შესძლენა ერთი ვაჟიშვილი და თავად-კი წავიდა იქ, სადაც ყველანი წავალთ, და სადა, მგონია, რომ არც ზრუნვაა და არც წუხილი.

თუმცა კაპიტანი მუდამ წარბ-შეკრული და პირ-ქუში ადამიანი იყო, მაგრამ ეს ვაჟიშვილი, ეს ნაყოფი სიყვარულისა, დიდის გულმტკივნეულობით აღზარდა, სკოლაში მისცა და ისეთი ჭკვიანი და ნასწავლი გამოვიდა, რომ, რაზედაც უნდა ჩამოგეგდო ლაპარაკი, ჩვენ მღვდელზედ ნაკლებ არა ლაპარაკობდა ხოლმე.

მამის მიბაძვით ისიც სამხედრო სამსახურში შევიდა. მალე ულვაშები ამოუვიდა ტუჩებზედ და მხრებზედაც ეპოლეტები დაიკერა. მამას თავი მოსწონდა,—ვაჟკაცი შვილი მყავსო. და ან-კი, რატომ არ უნდა მოეწონებინა თავი! იმისი შვილი ყოვლად კარგი რამ იყო, მხიარული, ყველასთან ტკბილი, პატიოსანი, პირ-მტკიცე. ვერა მავნე და ბოროტი სული ვერ დასძლევდა და ვერ შეარყევდა იმის სიმტკიცეს. ხომ გესმით, ბატონო კორიგან?

უცებ საიდგანღაც გატყვრა ერთი ბოროტი დედაკაცი; დაატყვევა იმის გული, დაიჭირა ხელში და დაეუფლა იმის სვინიდისსა. უბედურად აქციოს ღმერთმა იმისი თავი და ტანი! შხამიანი გველი იყო სწორედ. რასაც-კი მიეკარებოდა, ყველაფერს მოსწამლავდა, დაჰშხამავდა. მუდამ დღე მოდა-მოდას გაიძახოდა. ახალ-ახალის ლენტებითა და კაბებით ვერ შეიოკებდით!

კაპიტანს იმდენი ჰქონდა, დიალაც, რომ ეცხოვრა რიგიანად, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იმისი სიმ-

მაისში თუ ღმერთმა ჰქმნა და თბილი წვიმები დაუდგა, იმედი უნდა გვქონდეს, რომ წელს პურის მოსავალი კარგი იქნება. სიმინდების თესვა თითქმის ნახევრამდის გათავებულია. ამინდები ამ ჟამად კარგი დგას.

*** წიფა: აქ, როგორც წინადაცა გწერდით, ყვავილმა იჩინა თავი. გვირაბის საქმეთა უფროსმა მწარმოებელმა მიაქცია ყურადღება ამ გადამდებს სნეულებასა, გამოიწერა მკურნალი, ამცრელი და ვინც მოუხდელი იყო, ყველას აუცრეს „დიდი ბატონები". ამ ავადმყოფობამ ერთი კაცი იმსხვერპლა.

გვირაბი ამ მხრით ორს ვერსზე მზად არის; ქვის თაღის კეთებას უკვე შეუდგნენ. გვირაბი სიმაღლით იქნება ოთხი საჟენი, სიგანით-კი სამ საჟენ ნახევარი. შიგ ორს ლიანდაგს გაატარებენ.

საზოგადოდ მუშაობა კარგადა და რიგზედ მიდის, მაგრამ მუშა ხალხი ხშირად უჩივის მოიჯარადრეებს, რადგანაც ეს ბატონები დროზედ არ უსწორებენ ანგარიშსა.

*** ზემო-ჭალა: ამ სოფლის საზოგადოებას, რომელსაც სხვა-და-სხვა წყაროებიდგან წელიწადში 1,500 მანეთამდე შემოსავალი ექნება, ერთ-კლასიანი სასოფლო სკოლა აქვს გამართული. სასწავლებელი კარგს ქვითკირის შენობაშია მოთავსებული, მაგრამ ეზო შემოკავებული არა აქვს, სკოლა ორ გზათა შუაა აშენებული, სადაც ყოველს წუთში გაქანებული ეტლები და ფურგუნები მიდიან და მოდიან და ეს კარგი არ არის ბავშვებისათვის. ურიგო არ იქნებოდა, ზემოხსენებულ შემოსავლიდგან ხუთი-ექვსი თუმანი სასწავლებლის გალნიოშებულს ეზოს შემორაგვას მოანდომონ. სხვა რომ არა იყოს-რა, ბავშვები თავისუფლად ითამაშებენ შემორაგულს ეზოში და მასწავლებლებისათვის ხომ ბედნიერება იქმნება: ბაღსა და ბოსტანს მაინც გააშენებენ.

*** ქვიშხეთი: ბ-ნ მაზრის უფროსის განკარგულებით აქ სასოფლო გზა, შოსის გზიდგან დაწყებული ამ სოფლის ეკკლესიამდე, უკვე კეთდება. მუშაობის უფროსობა მინდობილი აქვს თავადს ვ. ზუმბათიშვილსა.

როგორც სხვაგან, ქვიშხეთშიაც გლეხები აღდგომის მეორე დღეს მიუტანენ ხოლმე მებატონეებს ძღვნად ერთ თოქს ღვინოს, ცხრა გამომცხვარს პურსა და ერთს ქათამს. ხშირად ყოფილა მაგალითი, რომ გლეხს არც ღვინო ჰქონია სახლში, არც ფული, მაგრამ ძღვენი-კი მაინც მიუტანია ადგებოდა გლეხი და მიდიოდა. ისევ მებატონეს მოსამსახურესთან, ისესხებდა იმისაგან ერთს მანეთს, ყიდულობდა ღვინოსა და მიჰქონდა ძღვნად მებატონესთან. ეხლა ზოგიერთ მებატონეებს, რომლებსაც ეს გარემოება შეუნიშნავთ, აღუკრძალავთ გლეხებისათვის აღდგომის მეორე დღეს ძღვნობა, რომელიც ბატონ-ყმობის ნაანდერძევია.

*** ქუთაისი: ისე გადის ეს აპრილი, რომ ერთი ხეირიანი დღე არ გვინახავს. ჯერ იყო და პირველ რიცხვებში სულ ერთიანად სწვიმდა, რის გამოც მუშაობა შეჩერდა. ეხლა-კი წვიმამ, თუმცა გადიღო, მაგრამ, სამაგიეროდ, ზენა ქარი ჰქრის, ეს საშინელი სენი იმერეთისა. მაგრამ ამ ავდრებს ისე არავისათვის არ უვნიათ, როგორც ბ-ნ ფიურერის ცირკს ავნეს, რომელიც აგერ ერთი თთვეა რაც გვესტუმრა. ვერც ქუთათურები დახვდნენ ძველებურად, როდესაც მთელი ცირკი ხალხით აივსებოდა ხოლმე. ეხლა ცირკი ყოველთვის ცარიელია, ასე რომ 17 აპრილს ცირკში უკანასკნელი წარმოდგენა იყო. ამის შემდეგ ცირკი ისევ ტფილისისაკენ მოემგზავრება.

*** იქიდამვე: 14-ს აპრილს ბ-ნ მეუნარგიას აქ ლექციები უნდა წაეკითხა. რვა საათზე თეატრის დარბაზში დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა, მაგრამ ლექტორის გამოსვლის მაგიერ სცენაზედ გამოჩნდა ბ-ნი კ. მესხი, რომელიც იქ ამ ღამეს მოთავე იყო, და გამოაცხადა, რომ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ბ-ნი მეუნარგია ვერ წაიკითხავს ლექციებსაო. ხალხს ძლიერ საწყენად დარჩა ეს შემთხვევა. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ბ-ნს მეუნარგიას თავიდამ აუცდენია დამაბრკოლებელი მიზეზები და ნაალდგომევს წაიკითხავს ლექციებსა.

*** იქიდამვე: კვირას, 17 ამ თთვისას, ბ-ნმა ქორიძემ გაჰმართა რუსული კონცერტი და აგრეთვე უნდა ეთქვათ რამდენიმე ქართული სიმღერა. საზოგადოდ ამ კონცერტმაც ისე ჩაიარა, როგორც წინანდელმა, რადგან მხოლოდ სამი-ოთხი სიმღერა თუ იქნებოდა ახალი, თორემ სხვა სიმღერები იგივე იყო, რაც წინანდელს კონცერტში. ეს უკანასკნელი კონცერტი მით უფრო იყო შესანიშნავი, რომ ქ-ნ ძნელაძის ბენეფისად იყო დანიშნული. ქ-ნი ძნელაძისა, თუმცა დიდი ხანი არის, რაც ქუთაისის სცენაზედ გამოვიდა, მაგრამ საერთო სიყვარული და ყურადღება-კი დაიმსახურა. მებენეფისემ მშვენივრად იმღერა. აგრეთვე ურიგონი არ იყვნენ ქ-ნი ჰილაძისა და ბ-ნი ჟღენტი. მებენეფისემ მიიღო ორი გვირგვინი, ერთი ცოცხალის ვარდების თაიგული და ერთიც ოქროს საათი. საზოგადოებას უფრო ქართული სიმღერები მოეწონა, რადგან უმეტესობა ქართველობა იყო. ტაშის კვრასა და ვაშას ძახილს ბოლო არა ჰქონდა. მშვენივრად იმღერეს „მიყვარს ფაცხა", და სხვანი.

*** ქ. თელავიდგან გვატყობინებენ, რომ წარსულს კვირას, თელავის მახლობლად, სოფ. ვარდის-უბანში, ტფილისის გზაზე, მეფურგუნე მალაკანს, გაუფრთხილებლობის გამო, ღვინით დატვირთული ფურგუნი გადაჰბრუნებია და თავზე დასცემია ღვინით სავსე „ბოჩკა". ბოჩკის დაცემა და მეფურგუნის სიკვდილი ერთი ყოფილა.

*** სოფ. საჩინო (ქუთ. მაზრა): აქამდის საჩინოელები საექიმოდ უფრო ხშირად სოფლის მატყუარა დედაკაცებთან გარბოდნენ, ვიდრე ქუთაისის ნასწავლ ექიმებთან. ეს მატყუარა დედაბერებიც, კუდიანებად წოდებულნი, ისე გამრავლდნენ, როგორც აჯამეთის ტყეში რუხვი მგლები. ამ გარემოების მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ არსად ახლოს არც აფთიაქი იპოვება და არც ექიმი. ქუთაისში წასვლა-კი ზოგჯერ სრულიად შეუძლებელია, სახელდობრ, წყალ-დიდობის დროს, როცა რიონზე ბორანიც ვერ დადის. ეხლა-კი საჩინოელებს იმედი გვაქვს, რომ თავიდამ ავიცდენთ ამ მატყუარა დედაბერების წამლობასა და შელოცვას. ამის იმედი იმიტომ უფრო გვაქვს, რომ ბ-ნმა ი. კანდელაკმა ამ მოკლეს ხანში საჩინოში, სახელდობრ, სოფ. ვანში, გაჰმართა სასოფლო აფთიაქი. ეხლა საჩინოელებს აზრადა აქვთ დაიქირაონ საკუთარი ექიმი.

*** თელავი: წარსულს კვირას აქ მობრძანდა მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. თ-დმა დაათვალიერა ის ადგილი, რომელიც ქალაქს უნდა დაეთმო მილიციისათვის, თუ რომ იმისი სადგომი თელავში იქნებოდა გადმოტანილი. მთავარ-მმართებელს დაპირებული ადგილი ჯარის სადგომისათვის შესაფერ ადგილად ვერ უცვნია, ასე რომ სადგომი ყვარლის მილიციას სოფ. მალაროში უნდა გაუმართონ.

*** ერევნიდამ სწერენ «მშაკსა»: აქაურ სომხის ეკკლესიებში ამ დიდმარხვაში ყველგან ქადაგებას ამბობდნენ მღვდლები, მაგრამ მრევლი ნაკლებად ესწრობოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მღვდელთა უმრავლესობა სრულიად მოუმზადებელი და მოკლებულია იმ თვისებას, რომელიც საჭიროა კარგის მქადაგებლისათვის და რომელიც მსმენელზედაც კარგადა ჰმოქმედობსო».

*** ბაქოში ერთი მდიდარი სომეხი ვაჭარი, პავლე სარგსიანი, გარდაცვლილა. «მშაკის» სიტყვით, ამ კაცს სამადლო საქმისათვის 7,000 მანათი დაუტოვებია.

*** იმავე გაზეთში ნათქვამია, რომ აქამომდე ზეითუნელებისათვის მოუგროვებიათ 18,620 მან. და 27 კაპ. ამ რიცხვში ასტარხანის საეპისკოპოსოდამ შემოუწირავთ სამას ორმოც-და-ათ თუმნამდე, ერევნის კონსისტორიიდამ—ოთხმოც თუმნამდე და დანარჩენი-კი საქართველო-იმერეთის სომეხთ ეპარქიიდამ.

---

## სახელდახელო

(უბად-ახალები —წყალ-წახალები ამბები)

გაირბინა ზამთარმა, ცივი ტაროსი შეგვეცვალა. მარტმაც-კი ვერაფერი დაგვაკლო თავის ნასესხის დღეებით, კუდ-ამოძუებული დაგვრჩა და რომ სულ საბოლოვოდ არ შეერცხვინა თავი, სამახსოვროდ დაეტოვებინა რამე, მარტო იმით-ღა იმარტა, რომ სულელურად გაილრიჭა და განგვიმარტა: ერთ ლაზათიან ქიმუნჯთან არამც თუ ბულანჟე და ბისმარკი, მთელი ევროპაც მოჰრილ ფრჩხილად არა ჰღირსო.

დიდ-მარხვა მიიწურა. მთაწმინდის გორაზედ იჯდა მთელი ექვსი კვირა ეს შავი და ბნელი მოხუცი, ბოლოს ფეხზედ წამობობღდა, გუდა-ნაბადი იღლიაში ამოიდო, გაიზმორა და შორს გზას გაჰხედა—ეტყობა, რომ ულობიო - ჯონჯოლ - ისპანახ-სატაცუროდ დატოვებას გვიპირებს. გზა დაგვილოცნია აღმაცა, დაღმაცა და უკუღმაცა. აღდგომა მოგვიახლოვდა! დღეს მკვდარი, უსულო, უგონო, გულზედ მიწა-წაყრილი, ასეთივე ხეალაც, ზეგაც, მაზეგ-კი სულს ჩაიდგამს, დაცემული ფეხზედ აღსდგება, ლახვარ-დაკრული წელში გაიმართება, მილურსმული ხელებს აღმართავს ცად და მადლობის ლაღადსა ჰყოფს. განა ამაზე მეტი სასწაული შესაძლოსია-ღა!

საკვირველია, თითქო ბუნებაც ამ სიკვდილზე გამარჯვებას ელოდდესო, ადრევე იმოსება, ფერ-უმარილდება, შუშტაკს იკეთებს, რომ კეთილის ავზე გამარჯვებას გალამაზებული, გალიმებული დახვდეს.

სიცოცხლე დაეტყო ყველას, ჭიანჭველაც-კი გამოვიდა ქვეყანაზედ და ზამთრის სამზადისს შეუდგა. ასე წარმოიდგინეთ, ჩვენმა თანამოძმე გაზეთებმაც-კი, იმ გაზეთებმა, რომელთაც რამდენჯერმე პანაშვიდი გადავუხადეთ და წლის წირვასაც ვუმზადებდით, ამ გაზეთებმაც-კი გამოცოცხლება მოიწადინეს. ჩვენმა «თეატრმა», სად იყო, სად არ იყო, თავი გამოყო, საიდგანღაც გამოიჭყიელა:

—ცოცხალი ვარ, არ მომკვდარვარ, სალათას ძილი დამემართა და ალაპზედ ნუ იხარჯებითო!

„კავკასიის მიმოხილვამ"-კი არც აილო, არც დაილო, 15 აპრილს სისხამ დილაზე წამოგვადგა თავზე და დაგვძახა:

— ჰყიტაო!

დაგვძახა-კი, მაგრამ თქვენი მტერი

---

დიდრე ულეველი ზღვა ხომ არ იყო.

შემოაკლდა იმასაც ფული და იმდენი აღარ გახლდათ, რომ თავის ლამაზ ცოლისათვის აღარაფერი მოეკლო... ღმერთმა ჰკითხოს და გადაახდევინოს იმ დაწყევლილ დედაკაცებს, რომელთაც, თუ უყვართ მამაკაცი, ფულის გულისათვის უყვართ და ჰღუპავენ კეთილს ხალხსა! გაწყდეს იმათი ქოქი, რომ აღარ იყოს ქვეყანაზედ იმათი სახელი და სახსენებელი!

ჩვენს კაპიტანს ახლა ფული ებარა პოლკისა. ადგა და ნელ-ნელა დაუწყო ხარჯვა ამ ფულსა... «არა უშავს-რა, ხელს მოვინაცვლებ, სესხი და ვალიაო, —ჰფიქრობდა გულში კაპიტანი: —ავიღებ მერე და თავის დროზე შევავსებ დანახარჯსაო». მამაჩემსაცა აქვს ცოტაოდენი შემოსავალიო.

ბოლოს ასეც მოხდა. მოხუცმა გაჰყიდა ერთი ნაჭერი მიწა, შეავსო დანახარჯი შვილის მაგიერ, მაგრამ თან-კი კარგად შეამკო და შერისხა. შვილი მოუყვა ფიცსა, რომ ამას იქით მაგისთანა საქმეს აღარ ჩაიდენო. მოხუცმა დაუჯერა ფიცსა. არას დროს შვილს არ მოეტყუებინა თავისი მამა. საწყალმა მოხუცებულმა, რა იცოდა, რომ ისეთის ალქაჯის ხელში იყო ჩავარდნილი იმისი შვილი; რა იცოდა, ვინ მოიდონო და მოინარიკლა იმის შვილის შეძლება და სიმდიდრე!

ენახოთ და ამ დაწყევლილს კიდევ მოუნდა ახალთ-ახალი ზიზილ-პიპილები, მორთვა-მოპრანჭვა. საწყალმა ყმაწვილმა კაცმა ველარა მოახერხა-რა. იმის მაგიერ, რომ აელო და გაეგდო თავის სახლიდამ ასეთი საძაგელი ადამიანი, იმან კვლავ დაუწყო ხარჯვა პოლკის ფულსა. სინიდისი-კი სულ ამას ჩასძახებდა: «ნუ სჩადი მაგ საქმეს, ნუ იუპატიოსნებ მუნდირსა, უფრო ძრიელ გაებმები მახეში და თავს ველარ დააღწევო».

ისევ თავის მამის იმედი ჰქონდა, ის მიშველის და დამიხსნისო. ადგა და მისწერა წიგნი, გამოუტყდა, ასედა-ასეა ჩემი საქმეო, შემინდე, მაპატიეო. მოხუცებული ჩამოვიდა შვილთან, გამწყრალი, განრისხებული, გეგონებოდა, მოღრუბლული და მოქურუმებული ცააო.

— რამდენი გინდაო?—ამდენ-ამდენიო: —კარგი, გავყიდი დანარჩენს მამულსაც, მაგის ამხდურს მომცემენ. ვაჟკაცისათვის სახელია პირველი ქვეყანაზედ. მაგრამ შენ კიდევ შენსას არ მოიშლი და მე-კი ეგ არის და ეგ, სხვა აღარა მაბადია-რა. უნდა თავები მოვიკლათ, მეტი ღონე არ არის. ნაძრახს სიცოცხლეს ისევ სიკვდილი სჯობიან.

შვილი ფარზე შედგა, დაუწყო ფიცი, დაჰპირდა, —ჰკუას ვისწავლიო. მამა-კი თავისას არ იშლიდა...

— შენ ერთხელაც დაიფიცე, მაგრამ ფიცი არ დაამტკიცე. ვინც ამაოდ ჰფიცა ერთხელ, ის ორჯელა და სამჯერაც დაიფიცავს ტყუილად.

შვილმა თავი ჩაჰღუნა. სინიდისი ამხილებდა: «მართალს ამბობს მოხუცი, ვერ გაუმაგრდები ცდუნებასა და მერე?»

საცოდავი ყმაწვილი კაცი! სულ ოც-და-თორმეტის წლისა იყო და ისეთი ჯანმრთელი, რომ ვინ იცის, რამდენს ხანს იცოცხლებდა კიდევ.

შვილი ტიროდა; ტიროდა იმის გულისათვის მოხუციცა. მაგრამ მამამ ასე სთქვა: „საჭიროა, აბა, ყოჩაღად იყავიო!"

დამბაჩის ხმა შემოგვესმა. ღამე იყო. პატარა დავაცადეთ და მეორედ კიდევ იჭექა დამბაჩამ!

მამამ მოჰკლა შვილი, რათა ამ სახით სირცხვილისაგან დაეხსნა და მერე თავადაც თავი მოიკლა.

მამამა და შვილმა წიგნი დასტოვეს. ორივე წიგნი გენერალთან იყო მიწერილი.

მოხუცებული მოკლედ სწერდა გენერალს, რომ ასე-და-ასე იყო ეს საქმეო. შვილი ამას იწერებოდა: «მამაჩემმა მომკლა ჩემის სურვილის თანხმად და მერე თვითონაც თავი მოიკლა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენის სისხლით განვბანოთ ჩვენი სახელი და სირცხვილი ავაშოროთ ჩვენს გვარსა. მამამ შემინდო, შემინდობენ სხვანიცა. სახელი და მუნდირი შეუმწიკვლელი და შეუბღალავი გადარჩა».

დიდი ალიაქოთი ასტეხა ამ ამბავმა. ყმაწვილ კაცის ამხანაგები აღელვდნენ და ღრმად შეძრწუნდნენ. ბარე ორი იტყოდა გულში: „აბა, გაფრთხილდი ჩემო თავო, ერიდე წყეულს დედაკაცსაო."

სამღვდელოებამ უარი განაცხადა, ჩვენ ვერ დავასაფლავებთ ვერც მამასა და ვერც შვილსაო.

ყველა ჰშფოთავდა და ჰბორგავდა. მითქმა-მოთქმამ შეარყია მთელი ქალაქი.

გენერალმა და საბჭომ ყოველივე დააწყნარეს და დააშოშმინეს. და აი რა მოახერხეს:

მიცვალებულთა ამხანაგებმა და მეგობრებმა სასაფლაოზე გაასვენეს მამისა და შვილის ცხედარნი. გაასვენეს დიდის მწუხარებითა და პატივის-ცემითა. მთელი ჯარი ძაძით იყო მოსილი. მუსიკა გლოვის ხმას უკრავდა და უკან მისდევდა მიცვალებულთ.

კუბოზე დაეწყოთ იმათი მუნდირები და მოხუცის ორდენი. კუბოები ყვავილებითა და მწვანით იყო მორთული.

მთელი ქალაქი დაესწრო დასაფლავებაზე; ბევრნი და ძალიან ბევრნი აღელვებულიყვნენ და გულ-ამოსკვნით ტიროდნენ.

იმ დედაკაცისა, რომელმაც დაჰღუპა და გააუბედურა ეს ორი ადამიანი, არც ავად და არც კარგად არა ისმოდა-რა. რა მოუვიდა: სინიდისმა შეაწუხა, თუ ახლა სხვაგან ეძებს ახალს თაყვანის - მცემელს, ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი და ტანი!

გრ. ყ—მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ დაუგდია ისე სნეულებას, როგორც „კავკასიის მიმოხილვას“ აშლია თიაქარი, ჭვალი, ავი სენი და ავი ჰირი. სადღაა ის ბრგე, ახოვანი და ტანოვანი „კავკასიის მიმოხილვა“? ერთის წლის ავადობა ისე დასჩნევია, რომ განახევარკაცებულა, მისუსტებულა, ფეხს ძლივს-ღა ადგამს, წელში ძლივს იმართება, ლაპარაკს ველარ ახერხებს. 15 აპრილს რომ «ქუტაო» სთქვა, 17 აპრილამდე აღარა გვჩვენებია. მაშინაც ცალ-გვერდა დაგვენახვა და მერე ჯუჯუმკალად დაიკარგა, წავიდა და წავიდა. ჩვენ ასე გვეგონა, რომ საფრანგეთში თუ გაემგზავრა, ბულანჟეს არჩევანებზე დასასწრებლადაო, მაგრამ, მოგეცა ღვთის წყალობა, მოგვადორა: თურმე აქავე ყოფილა, ლოგინად წოლილა და 20 აპრილამდე თავი მაღლა ვერ აუღია, წელში ვერ გაშლილა.

მაინც, საზოგადოდ რომ ვსთქვათ „კავკასიის მიმოხილვას“ აღდგომა არა სწყალობს. თუ მკითხველს ახსოვს, შარშანაც სწორედ ამ დღეებში ჩასწვდა კინწი და მას შემდეგ მაღლა აღარ აუხედნია. ეხლაც ალლახმა უწყის, ეს წუთიერი გამობრუნება სიცოცხლის ნიშანია, ნიშანია სიკვდილის დათრგუნვისა, თუ მომაკვდავის უკანასკნელი თვალის ახილებაა, ლოგინ-მილეულის ერთის გვერდიდგან მეორეზე გადაბრუნებაა?!

**

აი ბ-ნ ხოსროევს-კი ნამდვილი აღდგომა უთენდება! თითქმის მთელი ნახევარი წელიწადი საპატიმროში გაატარა და ახლა-კი ეს ბინა დაუტოვებია, მაგრამ ძვირად-კი დასჯდომია, კაცმა რომ მართალი სთქვას, კარზედ გამოსვლა: 15,000 მანათი. ეხუმრებით, ათასი და ისიც ერთი-კი არა, თხუთმეტი ერთად. მოდი და ნუ გაიკვირვებ, რომ რად იხოცავენ თავებს ეს ხალხი ბუზებივითაო. თითქმის ერთი დღე არ გაივლის ისე, რომ ამბავი არ გამოვიდეს: ამან თავი მოიკლა, იმან საწამლავი დალია, დამბაჩა მიირტყა, თავი ქვას ახალა და ზედ ნაცარი ცხელი დაიყარაო. თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ქალებ-კი, ის ქალები, რომელნიც სიცოცხლის კვირტნი არიან, გაუშლელნი, გაუფურჩქვნელნი, რომელთაც ჯერ ცხოვრებაში ფეხი არ შეუდგამთ და ყმაწვილური ოცნება, იმედები, ბედნიერების მოლოდინი კორტოხზედ გახდილ ქალამანსავით უკუ არ უგდიათ, რომელთა მკერდში სიცოცხლით სავსე გული ადის და დადის, ძარღვებში სისხლი დუღს და ჩუხჩუხებს,—ეს ქალებიც-კი საწამლავს ეწაფებიან და მიეშურებიან იქ, სადაც საუკუნოდ განისვენებენ, სადაც არც პარიჟის მოდაა, არც ტიურნიური, არც ემანსიპაცია. რაო? რაო და ისაო, რომ სიცოცხლე მოგვეზზრდა, ამ ქვეყნად სახარბიელოს არასა ვხედავთო.

საკვირველია, ღმერთმანი! ერთი თავისუფალ ჰაერზე სუნთქვისათვის თხუთმეტ ათას მანათს იმეტებს, მერე ისეთი ერთი, რომლის სახელიც ავაზაკებურის ბრალით არის შებღალული, და მეორე-კი, რომელსაც არავითარიმე ბრალი არ მიუძღვის მთელის კაცობრიობის წინაშე, უმანკოა, უბრალოა, ცხოვრებით შეულახველი, პირ-იქით, თითონვე იხდის საწამლავში ფულს, ოღონდ-კი იმ თავისუფალ ჰაერის სუნთქვა აიცილოს და აიშოროს თავიდგან, რომელშიაც პირველმა თხუთმეტი ათასი მანათი გადაიხადა. მოდი აქა და გაიგე: თავი ისევ კისერზე აბია ადამიანს, თუ მოშორებია, წასულა ერთს ვერსზე და იქიდგან უთავო ტანს ენას უყოფს?!

ორ-ანი

## ბუნება და თვისება
### ქართულის ენისა
(მცირე შენიშვნა)

«ივერიის» მე-62 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი ბ-ნ პ—სი: «მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში 1886 წ.» ეს წერილი შეიცავს სხვათა შორის შემდეგ სიტყვებსაც: «პირველი საგანი ის არის, რომ დღევანდლამდე ქართულის ენის შესახებ გამოურკვეველს ყოფაში არიან მეცნიერნი და ვერ გადაუწყვეტიათ, რომელ ენათა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდესო. ბოპპი 1820 წლებში ქართულ ენაზე ამბობდა — ინდო-ევროპიულს ენათა ჯგუფს ეკუთვნისო, მაქს მიულლერი და ფრიდრიხ მიულლერი სემიტების (ესე იგი არაბებისა, ებრაელებისა და ქალდეველების) ენათა ჯგუფს აკუთვნებდნენ, და თითქმის ამაზე შესდგა ევროპიელთა აზრი. მაგრამ პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა სხვა მოსაზრება გამოსთქვა: ქართული ენა ერთს განსხვავებულს და განსაკუთრებულს ენათა ჯგუფს უნდა შეადგენდეს, რომელზედაც მეცნიერებაში ჯერ გარდაწყვეტილი ცნობა არ იპოვებაო».

ამ ოციოდე სტრიქონში, ჩვენის აზრით, ოთხიოდე შეცდომა არის: 1) ბოპპი 1820 წლებში ქართულ ენას არც ერთ ენათა მეცნიერულ ჯგუფს არ უახლოვებდა. იმისი თხზულებანი ამ საგანზე პირველად გამოქვეყნდა 1840 წლებში, სახელდობრ: «Die Kaukasischen Gliedern desIndoeuropäischenSprachstamms», 1842 წ. (მეორე ცალკე წიგნად გამოცემა ამ თხზულებისა იყო 1847 წ.) და «Bericht des Hrn Bopp in Bezug auf Hrn Dr. G. Rosen's Einsendung über das Lasische», 1843. 2) მაქს მიულლერი და ფრიდრიხ მიულლერი ერთის აზრისა არას დროს არა ყოფილან ქართულის ენის ბუნებისა და თვისების შესახებ: a) მაქს მიულლერი არ ამტკიცებდა, რომ ქართველების ენა სემიტურიაო; იგი ერთ დროს*) ქართულს ტურანულ ენად ჰრაცხდა და შემდეგ-კი ამ საგანზედ სულ აღარას ამბობდა**). b) ფრიდრიხ მიულლერიც არ ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ქართული ენა სემიტურ ენების ბუნებისაო. ეს აზრი ვითომ დაერღვიოს კიდეც ჩვენს პატივცემულს პროფესორს ა. ცაგარელს. თავის ახალ თხზულებაში***) ფრიდრიხი საკმაო დაწვრილებით წარმოგვიდგენს ქართულის, მეგრულის, ლაზურის და სვანურის ნათესაობას და ამტკიცებს, რომ ჩრდილო კავკასიის ენები სრულიად არაფრით არ მიემგზავსებიან ზემოხსენებულს ენებსაო. ამას ამტკიცებს, მაგრამ არც ერთს ცნობილს ენათა ჯგუფს-კი არ უახლოვებს; 3) პროფესორს ცაგარელს არავითარი ახალი აზრი არ უთქვამს ქართულის ენის ნათესაობაზე, რადგან აზრი ქართულის ენის ცალკე ტომობისა გახლავთ კლაპროტის დროინდელი აზრი და ფრიდრიხ მიულლერმა სამოც წლებში განმარტა ეს აზრი სწორედ იმავე საბუთებით, რა საბუთებითაც პროფ. ცაგარელი სამოც-და-ათ წლებში სჯიდა ქართულის ენის ბუნებისა და თვისების გამო. ამიტომაც ორივე პატივცემულ პროფესორების დასკვნანი ერთ-ხმად თანასწორობენ. ნიმუშად მოგვყავს თვალ ეგ ადგილები, რომელნიც აშკარად გვაჩვენებენ, რომ ბ-ნ პ—ე ტყუილად სწამებს პროფესორს ცაგარელს, თითქო თანახმანი არა ყოფილიყვნენ საკამათო საგნის შესახებ ეს ორნი სწავლულნი.

1872 წელს ბ-ნი ცაგარელი ბძანებს*): «Грузинскій языкъ (равно какъ и другіе кавказскіе языки) не имѣетъ генетической связи съ индо-европейскими языками, но не можетъ быть причисленъ и къ урало-алтайскимъ. Онъ, подобно баскскому въ Европѣ, по всей вѣроятности, есть остатокъ нѣкогда весьма многочисленной группы языковъ, распространенной на кавказскомъ перешейкѣ еще до прихода семитическихъ, арійскихъ и урало-алтайскихъ племенъ на Кавказѣ и на югъ отъ него.»

ვენელი პროფესორი ფრიდრიხ მიულლერი 1864 წელს ამბობს ქართულს ენაზე:

«Die Kaukasischen Sprachen hängen mit den indogermanischen Sprachen nicht zusammen, sie können aber auch nicht zu dem ural-altaischen Sprachstamme gezählt werden. Sie scheinen—ähnlich dem Baskischen in Western Europa's—den Ueberrest einer vor der Ausbreitung der semitischen, arischen und ural-altaischen Stämme in den Gegenden des Kaukasus und südlich davon verbreiteten ehemals bedeufend grösseren Sprach gruppe zu bilden.*)

ადრე ქართულის ენის სემიტურობა წარმოთქმულა მეცნიერებისაგან, მაგრამ გაკვრით და ამ აზრის დასამტკიცებლად არავინა ცდილა იმდენადაც, რამდენადაც დაჰქირდათ ეს ცდა, ოღონდ-კი ურალ-ალტაიურისა და ინდო-გერმანულისათვის დაეახლოვებინათ და დაენათესავებინათ ჩვენი ენა. პირველივე ცდა ამაო არ გამოდგა. მასუკან აგერ სამი წელიწადია, რაც მივიკვლიე ქართულის ენის ბუნებისა და თვისების კვალი. არაბულის ენის გაცნობის შემდეგ სრულებით დავემყარე იმ აზრს, რომ ჩვენს ენას დიდი მგზავსება აქვს სემიტურ ენებისა. რაკი ეს აზრი მივიკვლიე, მაშინვე ებრაულისა და სირიულის ენის შესწავლას მოვკიდე ხელი. მასუკან დღითი დღე მიგროვდება მასალა და მემატება საბუთები ამ აზრის დასამტკიცებლადა და გასამართლებლად. რადგანაც სიტყვამ მოიტანა, აქვე მოვიხსენიებ ბარემ მოკლედ იმ აზრს, რომლის დამტკიცებას ვაპირობ. აი ის აზრი:

ქართული ენა ნათესავია ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით, სემიტურის ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის იმდენად დაახლოვებული ხსენებულს ენებთან, რამდენადაც ის ენანი ურთიერთ შორის და, სხანს, ქართული ენა (საკუთრად ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური*) წარმომდგარია ერთის მამათ-მთავარის ენისაგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგავანებია სემიტურს ენებს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთსა.

ნიკო მარრი

პეტერბურგი

*) 1855, the languages of the seat of var in the east, გვ. 124.

**) Lectures on the science of language.

***) Grundriss dev Sprachvissenschaft III B., II Abtheilung, Vien. 1887, გვ. 48 და 186—223.

*) Журн. Мин. Н. Пр. № IX; ესევე ადგილი განმეორებულია ბ-ნ ც—ლის წიგნში «О грамматической литературѣ грузинскаго языка», გვ. 76.

*) აი ქართული თარგმანი ამ გერმანულის ტექსტისა (Orient und Occident, გვ. 535): «კავკასიურ ენებს დამოკიდებულება არა აქვს ინდო-გერმანულ ენებთან, მაგრამ ვერც ურალ-ალტაიურ ენათა ჯგუფში ჩაირიცხებიან. გვგონებთ—ბასკურის მსგავსად დასავლეთ ევროპაში—ეს ენები ნაშთია ოდესმე გავრცელებულის ენათა ჯგუფისა, რომელიც სემიტურსა, არიულსა და ურალ-ალტაიურ ენათა გავრცელებამდე მოდებული ყოფილა კავკასიაში და კავკასიის სამხრეთად». აზრი რუსულის ამონაწერისაც ესევა.

**) სვანურის შესახებ მასალის ნაკლებობა, ნამეტურ ლექსიკურისა, მეტის-მეტად საგრძნობელია და ამიტომაც სულით და გულით ვისურვებ, ყველა ლინგვისტების სასარგებლოდ, გამართლებულიყოს ის ამბავი, რომ ბ-ნს თავისუფალს სვანს უკვე შეუდგენია სვანურ-ქართული ლექსიკონი და დაბეჭდვას აპირებსო.

## უცხოეთი

საფრანგეთი. ჟულ ფერრიმ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ამას წინად ეპინალში. მოგვყავს ეს სიტყვა შემოკლებით:

«ბატონებო, ისე არას დროს არა ყოფილა საჭირო მოგველაპარაკნა ერთმანეთში ამომრჩეველთაცა და ამოსარჩევთაცა, როგორც დღეს. მართლაცა-და რად უნდა დავმალოთ და დავფაროთ, რომ რესპუბლიკა დიდს განსაცდელშია დღეს ჩავარდნილი. მით უფრო საშიშია ეს განსაცდელი, რომ მოულოდნელად მოევლინა ქვეყანას. ჩვენ თვალ-წინ თავი იჩინა კვლავ იმ ნიშნებმა, რომელიც, გვეგონა, დიდი ხანია დამარხულია სამარცხვინო წარსულის ზვირთებშიო. ეხლა ყველა კეთილი კაცი გაკვირვებითა და აღშფოთებით შესცქერის, როგორ წამოყელყელავდა კვლავ ლანდი და მოჩვენება დიქტატურისა და პლებისციტისა. ეხლა ვხედავთ, რომ რაც ამ ორს წელიწადში დეპუტატთა პალატამ დაიშავა, რაც იმისმა მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია, ყოველივე ბრალად თვით რესპუბლიკას ედება. ვკიცხავთ და ვგმობთ არა დეპუტატებს, არამედ თვით სარესპუბლიკო დაწესებულებას. რასაკვირველია, იმ დასს, რომელსაც მე ვეკუთვნი და რომელიც დამარცხდა 1885 წელს, შეეძლო და შეუძლიან დღესაც ძალებით უცქიროს დღევანდელს პალატას, რადგან ამ პალატაში ეს დასი დღეს მესამედს ძლივს შეადგენს, მაგრამ საქმე ხომ ამაში არ არის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სამართლიანად მოვექცეთ ერთმანეთს. რაკი ჩვენდა წინააღმდეგ არა ჩვენი სასურველი პალატა შესდგა, ამიტომ რომ მივდგეთ ამ პალატას და ვკიცხოთ და ვგმოთ, ეს დიდი უსამართლობა იქნება. თუ სხვა გვარი პალატა შესდგა 1885 წელს, ის პალატა, რომელსაც ასე ემდურებიან და ჰგმობენ დღეს, განა ვისი ბრალია ესა? განა თვით ქვეყანას არა ჰსურდა სწორედ იმ გვარი პალატა? იგი პალატა ჩვენისავე სურვილისა და ნება-ყოფლობის ნაყოფია, ჩვენივე ღვიძლი შვილია, ჩვენივე ხორცი და სისხლია და ჩვენის სავალალო უთანხმოებისავე წარმომადგენელია, სხვა არაფერი. ამ გარემოებას დავუმატებ იმასაც, რომ 1885 წლის პალატას ვინც ამტყუნებს და ამბობს, უღონოა, უნაყოფოა, უძლურიაო, ის მალიან სცდება. ათასი შეცდომაც რომ მოსვლოდა იმ პალატას, ყოველივე ეს კიდევ მაინც არ გაამართლებდა იმ აჯანყებულს ჯარის-კაცსა, რომელიც ისეთის კადნიერებით აბიაბრუებს და საბრძოლველად იწვევს ერის ნებითა და სურვილით გაბატონებულს პალატას (მოისმა ტაშის კვრა). მოიგონეთ, რამდენი სიკეთე დასთესა ამ პალატამ. მაგრამ ამავე პალატამ დაავიწყებინა ერს ყოველივე სიკეთე და დაავიწყებინა იმიტომ, რომ გაახშირა კრიზისები სამინისტროებისა. ორს წელიწადს არ გაუვლია მას აქეთ და ამ ხნის განმავლობაში ისე გახშირდა სამინისტროს კრიზისები, რომ ქვეყანა ველარ აიტანს ასეთს ხშირ-ხშირს ცვლას სამინისტროებისას. ქვეყნისათვის, რასაკვირველია, საჭიროა და დიდად საჭიროც არის, თავისუფლად შეეძლოს განსაჯოს ყოველივე გარემოება, საჭიროა კრიტიკა და სასტიკი წინააღმდეგობა, თუ ვისმე საბუთი აქვს წინააღმდეგობისა და კრიტიკისა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქვეყანას ამასთანავე მართვაც დიდად ეჭირება. ქვეყანამ ისიც უნდა იცოდეს, რომ თუ სამს თვესა და ოთხს თვეში ერთხელ ცვალა მთავრობა, მართვა ქვეყნისა შეფერხდება და უბედურებას შეამთხვევს სამშობლოს. ვინ არის ამის მიზეზი? გაზეთები და მწერლობა ქმნიან მიზეზებს. რადიკალთა და შეურიგებელთა გაზეთები ადვილად ჰპოულობენ ამ მიზეზსა. ისინი გაიძახიან, რომ ყველაფერში ოპორტუნისტების დასია დამნაშავეო. საწყალი ოპორტუნისტები! სამი წელიწადია, რაც ოპორტუნისტებმა მეთაურობა დაჰკარგეს, ეხლა ძლივს მესამედს წილს შეადგენენ პალატაში და მაინც ისინი არიან დამნაშავენი!

ფერრიმ მოაგონა მსმენელთ, რა ღვაწლი დასდო საფრანგეთს ამ დასმა ათის წლის განმავლობაში გამბეტას დროსა და შემდეგ. მოიგონეთ სასკოლო რეფორმებიო, საეკონომიო ცვლილებანი, კანონი სამრეწველო სინდიკატების თაობაზეო და სხვანი. თუ დღესაც რომელიმე სასარგებლო კანონ-პროექტი გატყვრება ხოლმე, ეგ კანონ-პროექტი მაშინდელის მოღვაწეობის ნაყოფია. რაც-კი დაჩაგრულთა და სუსტთა მფარველობას შეეხება და რაც ასე მფირფასია დემოკრატიისათვის, ყოველსავე ამას დასაბამი და დასაწყისი ოპორტუნისტებმა მისცესო...

დიახ, ბატონებო, განსაცდელი დიდია და არავის არ შეუძლიან დამტკიცებით სთქვას, რომ ჩვენ უფსკრულს არ ვუახლოვდებით. ვინ არა ჰხედავს, როგორ იმეორებენ იმ ამბავს, რომელიც 2 დეკემბერს მოხდა ლუი ნაპოლეონის დროს? ვერ ამჩნევთ განა იმავ ქლესა და ცბიერს ლაპარაკს, იმავ ტკბილს ენას, დამღუპველს მალაყებს? მაგრამ არა, არა! ამ ხანად ჩვენი ქვეყანა არ დაიღუპება. ის დაწესებულებანი, რომელიც დაიმკვიდრა საფრანგეთმა, დაგვიხსნის ჩვენ ამ ხანად დიქტატურის განსაცდელისა და სირცხვილისაგან. ღალატი ელისეს სასახლეში არ არის დაბუდებული, როგორც ამ 40 წლის წინად იყო. ჩვენა გვყავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც 7 წლით არის ამორჩეული და რომელიც არ დაუთმობს თავის ალაგს იმათ, ვისაც თვალი უჭირავს ამ ალაგზედ; ჩვენა გვყავს სენატი, რომელიც განხორციელებაა სიბრძნისა და გულ-დამჯდარის სიდინჯისა და დარბაისლობისა და რომელიც, უკაცრავად-კი არ ვიყო, და ყელზე დაადგება იმას, ვინც

იმის გადაულახავას მოინდომებს. ასე არ არის, საყვარელო ჟორჟ? (ვითომ ბულანჟეო. მოისმის სიცილი და ტაშის-კვრა). ფერრიმ განაგრძო შემდეგ ლაპარაკი იმაზე, რომ ყველანი უნდა შევერთდეთ და ვებრძოლოთ დიქტატურის მომხრეებსაო. მთავრობამ უნდა თავი გამოიდოს ამ სამარცხვინო თავ-გასულობის წინააღმდეგაო. მთავრობა წინ გაგვიძღვეს საერთო მტრის დასათრგუნად, შეგვაერთოს ერთად, დაიწყოს ბრძოლა და ჩვენც უკან გავყვებით მთავრობასაო. ხოლო თუ მთავრობა მოვალეა იმოქმედოს თავ-გამოდებით, რესპუბლიკელნი მოვალენი ვართ დავანებოთ თავი დროებით უთანხმოებას და მშურად შევერთდეთ და ზურგი-ზურგს მივყუდოთ. ბატონებო, განსაცდელი რომ მარტო ჩვენს შინაურობას ემუქრებოდეს, ეს კიდევ ისე საშიში არ იქნებოდა. ტიერისა არ იყოს, ეს ძნელი საქმე იქნებოდა, მაგრამ არა ტრაგიკული. დიდის ერის შინაურობაში ისეთი არა მოხდება-რა, რომ გასწორება არ შეიძლებოდეს. მაგრამ საშიში დღეს ის არის, რომ განსაცდელი ემუქრება მთელს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მდგომარეობას ევროპის სხვა ერთა შორის, ემუქრება ჩვენს დიდებას, ჩვენს უვნებელობას. დაბრუნება ცეზარიზმისა, აღდგენა დიქტატურისა, რა სახითაც უნდა იქმნას იგი აღდგენილი, მაინც ომის მომასწავებელი იქნება; იმის ნიშანი იქნება, რომ ომი ასტყდება ადრე თუ გვიან, ომი უმეგობრებოდ, მთელის ევროპის სურვილის წინააღმდეგ. ევროპის სურვილი-კი დიდი რამ არის. ამ სურვილს ელაქუცება ბისმარკი, იმას შეჰყურებს დიპლომატია, იმის წინააღმდეგ თვით ყოვლად ძლიერი ქვეყანაც ვერასა ჰბედავს. ამიტომ იმახის წამ-და-უწუმ ბისმარკი, რომ გერმანია არ დაესხმის პირველი თავსა არავისაო, რომ გერმანია არ გამოიწვევს არავის ომშიო. რათა? იმიტომ-რომ უნდა ევროპის ხმა იმისკენ იყოს, რომ ევროპას მოაწონოს თავი და იმისი უნებური არა დაიწყოს-რა. ევროპამ კვლავ გული მოიბრუნა ჩვენზედ 1870 წლის უბედურებათა შემდეგ, ჩვენ მხნედ და საწრაფად აღვადგინეთ მასუკან ჩვენი საეკონომიო და საფინანსო ძლიერება, დიდი სიცოცხლის ნიშნი გამოვიჩინეთ, დიდი წესიერება დავამკვიდრეთ და ყოველ ამის შემწეობით მოვიპოვეთ პატივის-ცემა ევროპისა, გული მოვიგეთ ქვეყნისა. ეხლა სჯერათ ევროპაში, რომ მტკიცედ შეგვიძლიან ვადგეთ წარმატების გზას, სჯერათ, რომ ჩვენი ქვეყანა მშვიდობის მოყვარე ქვეყანაა, რომ უკვე სამუდამოდ განვიკურნეთ თავი ცეზარიზმის სენთაგან. ჩვენ რომ ეხლა ავიღოთ და უცებ, უმიზეზოდ, ჭირვეულობითა და გატაცებით გავფლანგოთ ეს ამოდენა თანხა ჩვენის სიკეთისა, საპოლიტიკო სიბრძნისა და სიმტკიცისა, ამდენის ვაი-ვაგლახით შეძენილი; ეხლა რომ კვლავ დავამტკიცოთ, ვითომ არავითარი ჭკუა არ გვასწავლა გამოცდილებამ და ყველაფერი დავივიწყეთ; ეხლა რომ საბუთი მივსცეთ ვისმე სთქვას, ქვეყნის მთავრობა ვიღაც ქუჩის მყვირალათა ხელშიაო, ისეთის გაზეთების საბურთაო გამხდარა, რომელნიც საწამლავენ ტყუილებით, სამაგელის სურათებითა და სიმღერებით საზოგადოების გონებასაო და ისე უნდათ მოიგონ ქვეყნის გული, როგორც გაჭარი აქებს თავის საქონელსაო (ისმის სიცილი და ტაშის-კვრა); ეხლა რომ საფრანგეთმა, რომელმაც იმოდენა ტანჯვა და ვაება გამოიარა, ყველაფერი გასწიროს, ფათერაკისა და რეკლამის ანაბარად გაჰხადოს თავისი თავისუფლება, თავისი ღირსება და სახელი, თავისი პარლამენტი; ეხლა რომ ამ ჭკვიანმა და თავ-მომწონე ერმა 40 წლის შემდეგ ხელ მეორედ ირწმუნოს უბრალო სიკვდილის შვილი გენიოსად და კატილინა ვაშინგტონად, — ო! დაგარწმუნებთ, ბატონებო, რომ ევროპის მხრივ განუსაზღვრელი იქმნებოდა მძულვარება და სიბრალული იმ ერის მიმართ, რომელიც ასე სამარცხვინოდ და ასე უგუნურად დამცირდებოდა და დამხობოდა. თქვენ მოგმართავთ, მამულის შვილნო და ქვეყნის მოყვარულნო, ვინც ისმენთ ჩემს სიტყვას, თქვენ თავად დაასკვენით აქედამ დასასკვნელი და გადასწყვიტეთ გადასაწყვეტი. ჭეშმარიტი მამულიშვილობა ის-კი არ არის, რომ სამოთხეს ვისახავდეთ თვალ-წინ და სანეტარო ყოფა-ცხოვრების ოცნებას ვეძლეოდეთ, არამედ ისა, რომ გულდინჯად და გულ-დასმით ავიღებ-დავიღებდეთ, ავწონ-დავწონდეთ მოსალოდნელ განსაცდელსა და საშიშროებასა. აუხსენით, მეიროფასნო თანამოძმენო, ყველას, რა შიში და განსაცდელი მოგველის, ყველას, ვინც-კი თვითონ სუსტია, ტოკავს და ყოყმობს, ვინც მოტყუებულია და თვალებ-ახვეული ჭორისა და ზღაპრების შემწეობითა. რაიცა შეეხება თვითონ მე, სიკვდილამდე არ ვუღალატებ ჩემს მოვალეობას. რაკი მე პირველმა დავიწყე ყვირილი, რომ შიში მოგველის-მეთქი, შემიძულეს და სასტიკი დევნა დამიწყეს. ჩემი სახელი დაუპირისპირეს იმის სახელს, ვინც ეხლა კერპად მიაჩნია ღალატობასა და სულმდაბლობას, ვის გვარსაც ქუჩაში ღრიალებენ, ვითომ-და იმის ნიშნად, რომ საომრად ვემზადებითო. უგუნურები! იმათ უნდათ გამაბიაბრუონ, და იმას-კი აღარა ჰგრძნობენ, რა პატივის-ცემაა ეგ ჩემთვის. მიტვირთნია ეს პატივის-ცემაცა და განსაცდელიცა ჩემი კისერი და იმათი ხმალი! (ისმის ძლიერი ტაშის კვრა). ბატონებო, ჩემ დროულმა კაცებმა საშინელი სანახავი ჰნახეს თავის დროზე. ჯერ ისევ ყმაწვილი ვიყავი, რომ პარიჟის ქუჩები გაასუწმინდურა და სისხლით შესთხვარა 2 დეკემბრის მიერ ნაშობმა კაცმა; გავიდა 20 წელიწადი მას უკან და მე ვნახე ის უბედურება, რომელიც დაატყდა თავს არა მარტო დამნაშავეთა, არამედ მრავალს უდანაშაულოთაც. განა შესაძლებელია კიდევ, რომ დაგვიბრუნდეს ის საშინელი და მწარე დღენი? არა, ეს არ მოხდება, ეს შეუძლებელია, თუ-კი თვით საფრანგეთის კეთილმა შვილებმა არ მოინდომეს; შეუძლებელია, თუ-კი გაარჩიეს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტება და ტყუილი, თუ-კი მხარი მისცეს ერთმანეთს, თუ-კი აღსდგნენ და გზა შეუკრეს იმ ცეზარიზმსა, რომელმაც არა დასტოვა-რა ჩვენს ისტორიაში სასიკეთო, სამარცხვინო და სისხლით შეთხვრილის კვალის მეტი. (ასტყდა ხანგრძლივის «ბრავო»-ს ძახილი, ორჯელ ზედი-ზედ იგრიალა ტაშმა. დიდხანს არ შეწყდარა ყვირილი: «გაუმარჯოს ჟულ ფერრისაო!»)

# დეპეშა

19 აპრილი

**პეტერბურგი.** თავადი ლობანოვ-როსტოვსკი, რომელიც ავსტრიაში რუსეთის ელჩად არის, წავიდა ვენაში.

**ვენა.** დიდი წინააღმდეგობა და ბრძოლა გაუწიეს რეიხსრატში საერო განათლების სამინისტროს იმ პროექტის გამო, რომლის ძალითაც ჩეხელი სტუდენტები ეგზამენის დროს უნდა გამოსცადონ იმის შესატყობრად, თუ რამდენად შეუსწავლიათ გერმანული ენა. რეიხსრატს არ უნდა ბიუჯეტი დაამტკიცოს. მინისტრის წინააღმდეგ დიდი შფოთი და ბრძოლაა.

**სოფია.** პოპოვის პროცესში პროკურორი თხოულობს, რომ ბრალდებულს ჩამოერთვას ჩინები და მიესაჯოს დამწყვდევა ათის წლის ვადითაო. ამბობენ, ვითომ მილიციელებს განზრახვა აქვთ იხმარონ იარაღი და ისე განათავისუფლონ პოპოვიო.

**ბერლინი.** წარსულს ღამეს იმპერატორს ციება ისევ დაუბრუნდა.

20 აპრილი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა განიხილა რა სხვა-და-სხვა სარჩიელი, სახელმწიფო საბჭოში შეტანილი, ებრაელთ უფლებათა შესახებ, რომლებიც გადასახლებულან ქალაქებიდგან და დაბებიდგან მინისტრთა კომიტეტის დებულების გამოცემამდე, ინება და ბრძანა: განმარტებულ იქმნას, რომ ებრაელთა გადასახლება სხვა სოფლებში იმ სოფლებიდგან, სადაც ისინი სახლობდნენ 1882 წლის სამ მაისამდე, სრულიად აღკრძალულ უნდა იქმნას; იმ ებრაელთა, რომლებიც გადასახლებულან 1882 წლის სამ მაისის შემდეგ ამ განმარტების გამოცხადებამდე სოფლებიდგან სოფლებში, იმათთვის საცხოვრებლად დანიშნულს წრეში, შეუძლიანთ სამუდამოდ დარჩნენ იმ სოფლებში, სადაც ამათ მიუსწრებს ეს უკანასკნელი ბრძანება.

მესამე განყოფილება სენატისა გაუქმებული იქნება 1888 წლის ნახევარში იუსტიციის მინისტრის განკარგულებისამებრ.

დაწესდა სავიკარნიო იაროსლავის გუბერნიაში. თვითონ ვიკარნის უგლიჩის ეპისკოპოზის სახელი ეკუთვნება და საცხოვრებელ ადგილად დაენიშნება როსტოვის სპარსკო-იაკოვლევის-დმიტრიევის მონასტერი. უგლიჩის ეპისკოპოსად დანიშნულია წინამძღვარი მოსკოვის წმ. დანიელის მონასტრისა — ამფილოხი.

**ბერლინი.** იმპერატორის მდგომარეობა საშიშია. გუშინ რაც მოხსენება იყო დანიშნული, ყველა გადადვეს, მზადება პოდსდამში წასასვლელად შესწყვიტეს.

**პარიჟი.** პრეზიდენტი რესპუბლიკისა დაბრუნდა გუშინ პარიჟში. როცა პრეზიდენტი ელისეის სასახლეში მიდიოდა, აქა-იქ იძახოდნენ: „გაუმარჯოს ბულანჟესო“; სამაგიეროდ ხალხი ისე ძლიერად იძახოდა: «გაუმარჯოს პრეზიდენტსო», რომ ბულანჟეს მომხრეთა ყვირილი სრულიად არ ისმოდა.

**ათინა.** ამბობენ, ვითომ ოსმალეთის ელჩის აქედგან წასვლა იმის მიზეზიაო, რომ ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის განწყობილება ძალიან გაძნელებულიაო. ავსტრიის გაზეთების აზრით, ვითომ ეს მაშინ მოხდა, როცა ნელიდოვი მივიდა ათინაშიო, ტყუილი არის, რადგანაც უთანხმოება ნელიდოვის მოსვლამდე ჩამოვარდაო.

## პეტერბურგის ბირჟა 19 აპრილი

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| მანათიანი ვერცხლის ფული ...... | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი ...... | — | ,, | — | ,, | 270 | |
| —მეორისა ..... | — | ,, | — | ,, | 243½ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა .... | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქრონიკონი — უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი — მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია — 25.

აპრილი 30 დღით არის

21 დღე ხუთშაბათი. დიდი ხუთშაბათი. წმინდა სერობა. წმ. წამ. იანუარისა. სომეხ. წმ. სერობა. კათოლ. დიდი ხუთშაბათი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუადღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—0. მთვარე 23 დღისაა.

22 დღე პარასკევი. ვნება, ჯვარცმა და დაფლვა უფლისა იესო ქრისტესი. კათოლ. და სომეხთა. წითელი პარასკევი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—1. მთვარე 24 დღისაა.

23 დღე შაბათი. დიდი შაბათი. დიდ. წამ. გიორგისა. წინა დღე აღდგომისა. კათოლ. დიდი შაბათი. სომეხ. დასაფლავება უფლისა. ნახატონაქი და ნავაკატიკი. სალამოზედ თევზეული და ერბოული ეჭმევათ. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — დაარსდა საცენზურო კომიტეტი, 1849 წ. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—2. მთვარე 25 დღისაა.

24 დღე კვირა. წმ. აღდგომა ქრისტესი. კათოლ. აღდგომა ქრისტესი. სომეხ. აღდგომა (ზადიკი). მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—3. მთვარე 26 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2 » | 3½ | |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | » |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . | » | » |
| მროხის ხორცი . . | 9 | » |
| » 2 » | 8 | » |
| სუკი . . . . | 16 | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მაისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით — დილის 9 საათზე და მაისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმს საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ვნათ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


# განცხადებანი

## კახური ღვინო!!!

ისყიდება საანგებო ღვინოები რკინის გზის სადგურის მახლობლად, ქალანთაროვის სახლში, ანდრიას ქუჩაზედ, არტილერიის ყაზარმის პირდაპირ. თუნგი ღირს ოთხის აბაზიდგან დაწყებული კიდევ მეტად, ღირსების დაგვარად; ბოთლი ღვინო — აბაზიდგან უფრო მეტადაც. (5—1)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სწორმეტყველება სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა ...... | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . : . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიშვილისა ...... | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . | ,, | 30 |



რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე